ტენდერი: დასუფთავების მომსახურება სკოლის, საბავშვო ბაღისა და სპორტული დარბაზის შენობებისთვის

ტენდერის აღწერილობა:

ა(ა)იპ თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი აცხადებს ტენდერს დასუფთავების მომსახურებისა და სამეურნეო მასალა/ ინვენტარის შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა გთხოვთ, გაითვალისწინონ შემდეგი დეტალები:

სკოლის ყოველდღიურად დასასუფთავებელი შიდა პერიმეტრი: 4003.33 კვ. მეტრი
სკოლის კვირაში ერთხელ დასასუფთავებელი შიდა პერიმეტრი: 444.96 კვ. მეტრი

საბავშვო ბაღის ყოველდღიურად დასასუფთავებელი შიდა პერიმეტრი: 395.50 კვ. მეტრი
საბავშვო ბაღის კვირაში ერთხელ დასასუფთავებელი შიდა პერიმეტრი: 18.10 კვ. მეტრი

სპორტული დარბაზის ყოველდღიურად დასასუფთავებელი შიდა პერიმეტრი: 750.1 კვ. მეტრი
სპორტული დარბაზის კვირაში ერთხელ დასასუფთავებელი შიდა პერიმეტრი: 166.3 კვ. მეტრი

- შემოთავაზების გაკეთებამდე შესაძლებელია წინასწარ შენობის დათვალიერება
- ადგილმდებარეობა: ბაგები, წნეთის გზატკეცილი 63, სტუდქალაქის მიმდებარე ტერიტორია

შესასრულებელი სამუშაო:

- სკოლის, საბავშვო ბაღისა და სპორტული დარბაზის შენობების ყოველდღიური დასუფთავება (ადმინისტრაციული განყოფილება, საპირფარეშოები, სასადილო- და მრავალფუნქციური ოთახი და ა.შ.)
- ფასადის ფანჯრების პერიოდული დასუფთავება

საკონტაქტო პირი: ნინი ნინოშვილი, **verwaltung@deutscheschule.ge**

ტენდერის პირობები/მოთხოვნები:

- კომერციული წინადადება ეროვნულ ვალუტაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
    - ✓ ფასადის ფანჯრების დასუფთავება
    - ✓ საბავშვო ბაღის, სკოლის შენობებისა და სპორტული დარბაზის ყოველდღიური დასუფთავება

- დეტალური ინფორმაცია მომსახურებისა (პერსონალის რაოდენობა, სამუშაო საათები, ა.შ.) და პროდუქციის შესახებ;
- ფასის დაფიქსირები 1 წლის ვადით;
- ინფორმაცია მომსახურებისა და პროდუქციის მიწოდების ვადების შესახებ;

აუცილებელი მოთხოვნები:

- საჯარო რეესტრიდან განახლებული სამეწარმეო ამონაწერი;
- ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია (საქმიანობის მოკლე აღწერილობა, გამოცდილება, კლიენტების სია, შესრულებული პროექტები, რეკომენდაციები);

<u>წინადადების წარდგენის ბოლო ვადა: 2024 წლის 1 ივლისი, 18:00 საათი.</u>

გთხოვთ, თქვენი შემოთავაზება გამოაგზავნოთ დალუქული კონვერტით მისამართზე: წყნეთის გზატკეცილი 63, 0162 თბილისი.

ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

გამოცხადების თარიღი: 14.06.2024.